

**კარი II
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და
დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა**

1. საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში საჩივრების განხილვის შედეგები

2012 წელს საქართველოს ოუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 905 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 844 შემოვიდა 2012 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 201 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 22,2%;
 2. 15 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 1,7%;
 3. 11 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება – 1,2%, საიდანაც:
 - ა) 4 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისმგებაში;
 - ბ) 3 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
 - გ) 2 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს გამოკვლევა;
 - დ) 2 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა.
4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი – 620 განცხადებაზე და წერილზე – 68,5%;
 5. 58 საჩივრის (განცხადების) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინარული სამართალწარმოება – 6,4%.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმეთა განხილვის შედეგები

2012 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველი იყო 6 დისციპლინური საქმე, მათ შორის 2012 წელს შემოვიდა 4.

2011 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 4 დისციპლინური საქმე - 5 მოსამართლის მიმართ:

1. 1 დისციპლინარულ საქმეზე დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით (1 მოსამართლე).
2. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა (1 მოსამართლე).
3. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – საყვედური (2 მოსამართლე).
4. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (1 მოსამართლე).

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგები

2012 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, ხოლო შემოვიდა საჩივრები სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 4 გადაწყვეტილებაზე. ამათგან, საქმის განხილვა დამთავრდა ოთხივე საქმეზე და გასაჩივრებული გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელად.